დროება

გამოდის ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტ ზე თავ. მუხრან ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა
მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисѣ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი
მთელის წლისა. 9 მ. | სამის თვისა. . . 3 მ.
ექვსის თვისა . . . 5 მ. | ერთის თვისა. . . 1 მ.

ფასი განცხადებისა
დიდის ასოებით—ასოზე ერთი კაპეიკი. ასომთვრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი. წგფშლებრივის ასოთი სტრიქონზე ერთ გზის
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ უნებს აგზავნას.
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს ერთი შაური

«დროება» პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს ექვსი (6) მანათი.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება თბილისს გარდა:

ქუთაისში ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

გორში საზოგადოების დეპოში, აბალო თუთაევთან.

აქვე მიიღება სელის-მოწერა.

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი».)

პეტერბურღი, 9 ივნისს. წვიმებმა ძალიან უშველეს მოსავალს როგორც რუსეთში, ისე რუმინიაში და გერმანიაში. ინგლისში პურის მოსავალი კარგია, მაგრამ ახალი თესლები კი უწვიმობის გამო ცოტა წახდენ; მაინც საზოგადოდ კაი მოსავალს მოელიან.

ამერიკაში მოსავალი ამ ბოლოს დროს მობრუნდა, მაგრამ კალიფორნიაში კი ბევრით ნაკლებია შარშანდელზედ.

სპუტარი. მომეტებული ნაწილი აჯანყებულთ ბელადებისა ბოსნიაში დაჰმორჩილდენ ოსმალეთის მართებლობას. ამბოხება დამშვიდებულია.

პეტერბურღი. გუშინ პეტერგოფის დარბაზში მრავალი ხალხი მიიდო ხელმწიფე იმპერატორმა. ჴრ-მარილი მიართვეს დეპუტაციებმა ოდესიდამ, კამენეც-პოდოლიდამ, უაზანიდამ და ასტრახანიდამ.

სამეფო კარის მინისტრი წავიდა შუა გუბერნიებში სახელმწიფო ცხენის ჯოგების დასათვალიერებლად. დაბრუნდება მკათათვის პირველ რიცხვებში.

გასწორება შეცდომისა, რომელიც შემოგვეპარა ტელეგრამაში 8 ივნისიდამ, შესახებ ტელეგრაფისტი ქალებისა. 28 მაისს კიდეც დამტკიცებულა უმაღლესად სახელმწიფო რჩევის აზრი და ტელეგრაფისტ ქალებს პენსია მიეცემათ.

თბილისი, 10 ივნისს.

რაკი კაცი სიმსუნაგეს დაეჩვევა, თუნდ კიდეც არა შიოდეს, მაინც ხელებს აქეთ-იქით აპოტინებს, ეგება მოვიგდო რამე და ტუჩები გავაცმაცუროო. ეს სენი მარტო ერთს კაცს კი არა, ხშირად მთელს ერს, მთელს სახელმწიფოსა სჭირს. ვინც კი ესრედ წოდებულს „პოლიტიკას“ თვალ-ყურს ადევნებს, იმისათვის ეს ცხადია და დასამტკიცებლად საბუთების მოყვანა ამაო შრომა იქნება, მაგრამ ეჭვიანთათვის ჩვენ დღეს ერთს მაგალითს დავასახელებთ, რომელიც თვით ურწმუნო თომასათვის საკმირისი უნდა იყოს.

ვინ არ იცის, რომ ეს ცამეტი წელიწადია, რაც საფრანგეთში რესპუბლიკაა გამოცხადებული და სხვა და სხვა დინასტიების მომხრეთ საშუალება მოესპოთ მთელს სახელმწიფოზედ პარპაშობისა. პირველშივე, რამწამს ნაპოლეონ მესამე ტახტიდამ გადააგდეს, რესპუბლიკელები მხოლოდ იმაზე სცდილობდენ, თავიანთ ქვეყანა ფეხზე წამოეყენებინათ და მარტო შინაურ საქმეებზედ ეზრუნათ. მაგრამ ათმა წელიწადმა და მართლაც საფრანგეთი ისეთს წარმატებას მიეცა, რომ გადამტერებული სახელმწიფოები შურით შესცქეროდენ მას. ამ უკანასკნელ სამს წელიწადს კი საფრანგეთმა თავი დაანება შინაურობაზედ მეტის-მეტს ზრუნვას და მიჰყო ხელი უცხო ქვეყნების დაპყრობას. ჯერ იყო და ტუნისი მოიგდო ხელში, მერე მადაგასკარის საქმებში ჩარევა მოიწადინა, მასუკან შარი უგდო ინდოეთის ნახევარკუნძულს მადაგასკარს და ეხლა ომი აქვს ატეხილი ვიღაც ტიუდიუნუქთან, რომლის სახელმწიფო საფრანგეთიდამ ცხრა-მთა გადაღმა კი არა, ვგონებთ ცხრა-ას-მთა გადაღმა იყოს.

ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო მიზეზი ანუ საბაბი ამ ომისა; ეხლა იქ, ინდოეთის ქვეყნებში, ცხარე ბრძოლაა იქაურებსა და ფრანცუზებს შუა. არავის ეჭვი არა აქვს რომ თუ ჩინეთი არ ჩაერია, საფრანგეთის ჯარი დასძლევს მოწინააღმდეგე ჯარს და ამ ქვეყანას დაიპყრობს, მაგრამ რა გამოვა აქედამ და ან რა სარგებლობას შეიძენს საფრანგეთი იმის დაპყრობით.

იქნება ზოგმა იფიქროს, რომ საფრანგეთში ხალხი ძლიერ თუ მრაველდება და თავის დედა-ქვეყანაში რომ ვერ ეტევა, სხვაგან უნდა გაიხიზნოსო; ამისათვის უცხო-ქვეყნების დაპყრობა საჭიროაო. ამის პასუხად უწყალო ციფრები მოგვითხრობენ, რომ საფრანგეთის ხალხის რიცხვს თითქმის არაფერი არა ემატება-რა და ამ ქვეყნის ნიადაგი თავისუფლად ერთი სამად და ოთხად მეტს გამოჰკებავდა იმ ხალხზედ, რომელიც ეხლა მასზედ სცხოვრებს. ამას გარდა იმ კოლონიებში, რომელნიც საფრანგეთს ეკუთვნიან, მაგ. ალჟირში ნემეცებისა და იტალიელების რიცხვი მატობს ფრანცუზებზედ. ან ეგ რად გინდათ, რომ თითონ პარიჟში და სხვა საფრანგეთის ქალაქებში აურიცხველი მუშები არიან უცხო ქვეყნებიდამ მოსულნი, რაკი ფრანცუზების რიცხვი ვერ ასდის სამუშაოს. ამას გარდა ფრანცუზებს ხასიათად არა აქვთ თავიანთ ქვეყნის დატოვება და სხვა ქვეყნებში გადასახლება. თუ დაიპყრობენ იმ დაშორებულს მხარეს, მაშინვე ინგლისელებითა და ჰოლანდიელებით გაივსება იგი და თუ სახელი ფრანცუზებისა იქნება, სახრაიი მაინც მათ დარჩებათ.

მაშ ვისთვის და რისთვის იწუხებს თავს საფრანგეთის მართებლობა და რად ერევა გადაკარგულ ქვეყნების საქმეში. ამის მიზეზი ორში ერთი უნდა იყოს, მაგრამ არც ერთი მათგანი საფრანგეთის სახელს ვერ დაამშვენებს. საფრანგეთის მოქმედება ან ნაყოფია პოლიტიკურ ცრუ მორწმუნეობისა, რომელიც ერს აქეზებს, დაიპყარ ესა და ეს ქვეყნები—შენი სახელი ამით მთელს დედა-მიწის ზურ-

«დროების» ფელეტონი 11 ივნისი.

სათავად-აზნაურო სკოლის გამო.*)

ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში ერთი შესანიშნავი და საკვირველი მოვლენა ხდება,—მოვლენა, რომლის დანახვას მხოლოდ ან ყოველად დაუდევარი, ან ბრმა მორალურად, თუ ფიზიკურად ვერ მოახერხებს. ამის დაწვრილებით და ზედ-მიწევნით შესწავლა, გამოკვლევა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, და ჩვენ გვგონია, რომ ყოველი განათლებული, პატიოსანი მამულის შვილი თავის აუშორებელ ვალდებულად უნდა სთვლიდეს ამ გვარ საქმის გაგებას, გამოძიებას. ეს მით უფრო ადვილია, რომ ამ საგნის შესახებ საზოგადოებას წინ არ აეყუდება ის დამაბრკოლებელი საბუთები, ის «ჟამთა ვითარებანი», რომელნიც ისე მძლავრად სუფევენ ერის ცხოვრების გამოკვლევაში: აქ აკრძალული არაფერია; არც სახელმწიფო, არც სარწმუნოებისა და არც წოდების ინტერესებს აქ ვნება არ მიეცემა, არავითარი შეურაცხყოფა არ მიადგება არც ერთს მოხელე პირს, რა ხარისხისაც უნდა იყოს ეს უკანასკნელი; ამიტომაც გვგონია ჩვენ, მრისხანება კანონისა არ უნდა შეეხოს მას. მონაწილენი და მწარმოებელნი ამ საქმისა ისეთივე კერძო პირნი ბრძანდებიან, როგორც თითქმის ყოველი ჩვენთაგანნი, მკითხველო და იმედიცა გვაქვს, იმოდენად გამოიჩენენ მოთმინებას და პირუთვნელობასაც, რომ აუშფოთებლად მოისმენენ მოსაზრებას ერთის გარეშე პირისას, რომელიც, აქვე ვსთქვათ, ირიცხება ამ საქმის დამფუძნებელ საზოგადოების წევრად.

ჩვენ ვიგულისხმებთ სათავად-აზნაურო სკოლის აწინდელ მდგომარეობას და მომავალს ბედს. უველას უნდა კარგად ახსოვდეს, რომ ჯერ-ჯერობით ეს საზოგადო საქმე, ეს ქართველობის თვით ზნეობის შედეგი, უსაჭიროესი და უდიდესი საქმეა არათუ მარტო თავის გონებითი და ზნეობითის გაელენით მომავალ ახალ-გაზდობაზე, არამედ იმითაც, რომ მისი ავ-კარგიანობა, ბედ-იღბალი სრულიად და განუყოფლივ დამოკიდებულია ჩვენს მცოდინარობაზე, მხნეობაზე. სწორედ ამაში უნდა გამოჩნდეს ჩვენი დარბაისლობა, სრულწლოვანობა; თუ აქ ფეხი მოგვიცურდა და კისერი მოვიტეხეთ, მაშინ მშვიდობით ჩვენო ბაქი-ბუქობავ, ტრაბახობავ! მაშინ ორ შაურადაც არ ვეღირებით!

საუბედუროდ, რაც აქამდინ მამხდარა ხსენებულ სასწავლებელში, ვერაფერ სახელს გაუთქვამს ჩვენს მოწინავე თაობას; სკოლის აწინდელი მდგომარეობა სრულიად სანატრელი არ არის: უკმაყოფილება და განხეთქილება გამგე კომიტეტის და მასწავლებელთა შორის, შური, ცილის წამება, ხშირად უპატივოდ მოხსენება თუ საზოგადოებაში, თუ მწერლობაში—აი ის გაზვიადებულნი არა სასიქადულო მოვლენანი, რომელთა მსმენელად თვით უნებურად ხდება ყოველი ჩვენთაგანი. აქვე უნდა წინ

*) რედაქცია ბეჭდავს ამ წერილს, რადგან მას სხვა ამ გვარ წერილებზედ უფრო პრინციპიალური ხასიათი ეტყობა, მაგრამ პატივცემულს ავტორს არ უნდა დავიწუებოდა, რომ ყოველისფერი ამ ცხოვრებაში მარტო ერთის მხარის ბრალი არ არის. ჩვენ ვეთანხმებით მას, რომ კომიტეტი არ უნდა გაერიოს პედაგოგიურს ნაწილში, როდესაც სკოლას ყოვლად ღირსეული მასწავლებლები ჰყავს, მაგრამ, როდესაც მასწავლებლები თავის თავს ნებას აძლევენ მოიხმარონ იმისთანა ღონისძიება ყმაწვილების აღზრდაში, რომელიც თითონ ამ წერილის ავტორს ურუდა აქვს მოხსენებული, მაშინ კომიტეტის უწმინდესი მოვალეობაა უეჭველად საქმეში ჩაერიოს.

რედ.

გზედ გავარდება და ყველანი პატიისცემით დაგიწყებენ ყურებასაო, ანეს მოქმედება შედეგია ბისმარკის იდუმალის განზრახვისა. ბისმარკმა ოღონდ საფრანგეთის ჯარი სხვაგან გაართოს, ძალ ღონე გამოულიოს, გერმანიის სამზღვრებს მოაშოროს და სხვა ჯერ-ჯეროვნით არა უნდა-რა.

არ ვიცით, რომელი მიზეზი მოქმედობს საფრანგეთის მართველობაზედ, მაგრამ ეს კი ვიცით რომ რომელიც უნდა მოქმედებდეს, არც ერთი მათგანი არ ამტკიცებს ამ მართველობის წინ-დახედულობას და კაცთ-მოყვარეობას. საფრანგეთს შინ ურდავის ხალხის გამოკვება შეუძლიან დი თავის შვილებს სადღაც ინდოეთში ჰგზავნის გასაქლეტად, ოღონდ ცრუ სახელი და დიდება მოიხვეჭოს. საფრანგეთს ავიწყდება, რომ ის ქვეყანა და ხალხია ბედნიერი, რომელსაც ისტორია არა აქვს, ის ისტორია, რომლის მატიანენი მხოლოდ სისხლით არიან შესვრილნი და ტყვიაწამლის სუნი ასდით.

ახალი ამბები.

ჭია-კოკონობის, ანუ ცეცხლის მოქმედების სეზონი უთუოდ დაიწყობა ჩვენში. დროც არის, ღვთის წინაშე! ზაფხულობით ისეთი სიცხეები იწყობა ხოლმე ქალაქში, რომ სახლებს ცეცხლი თავის-თავად ეკიდება. პირველი დებიუტი კი ამ, თბილისელებისგან ესრედ შეყვარებულის არტისტკასი, თუ არ ვიცი არტისტისა, ძალიან მოსაწონი იყო, რომელმაც ღამის თორმეტის საათიდან მოკიდებული დიდ-ძალი მაყურებელნი შეაგროვა. დაიწვა სოლოლაკის ქუჩაზედ ალაბაბოვის სახლი, რომელშიაც იყო ერთად მოქცეული ქალაქის ბამგეობა, ოლების სამდივნო (Сиротскій судъ) და ძირის სართულში ტოლეს მაღაზია, რევაზ ვაჩნაძის ღვინის სარდაფი, საკანდიტრო ჩენიესი და სხ. ოლების საქმეები სულ მთლად გადაწვარა, ქალაქის გამგეობისა ცოტა რამე გადაურჩენიათ და ძირის მაღაზიებიც გადიწვა. ოლების საქმეებზედ რევიზია ყოფილა დანიშნული, მაგრამ მინამ რევიზია მოვიდოდა ცეცხლმა თავისი რევიზია მოახდინა. საკვირველი ეს არის, რომ ცეცხლის მქრობელი კამანდა იქვე ორ ნაბიჯზედ არის იმ სახლიდან და როგორ ცოტა ადრე ვერ შეიტყეს და მთლად გადააბუგინეს—სხვას ნურაფერს ვიჩიველებთ—საბრალო ოლები შეეცოდოთ.

არაფერი გაწყობილი ყოფილა თბილისის ცეცხლის-მქრობელი კამანდა. ჯერ ერთი, რომ წყალისთვის მტკვარზედ გარბოდენ და მეორეც, ისეთი ჯაგლაგი ცხენები ჰყოლიათ, რომ ორი გზობა როგორც იყო მოაჩანჩალეს წყალი და მესამეზედ კუდით საწევები გახდენ. ამ დალოცვილ ქალაქის რჩევას მთელს ქალაქში ერთი წვეთი წყალი არსად მოეპოვება, მინამ მტკვარზედ არ ჩაველენ, ცეცხლის-მქრობელი კამანდა ესეთი ჯაგლაგი ჰყოლია, ქუჩებზედ კისერს მოიტეხ და ცხენ-რკინის გზები კი გამართა იმ ქუჩებში, სადაც ორი ურემი ერთმანერთს გზას ვერ აუქცევს.

ჩვენს ფელტონებში «დროების» მკითხველებს ვაცნობეთ ქუთაისის ბანკის კრების ამბავი. ჩვენ არ დავესწარით მხოლოდ ორს უკანასკნელ კრებაზედ, რომლის გადაწყვეტილებაც მოგვყავს გაზეთის «შრომის» მე-22-ე №-იდამ.

«ბანკის გამგეობის ჯამაგირები ისეც ისე დარჩა, როგორც იყო. მხოლოდ მოქმედების შეჩერების გამო სამოგადოებამ გამოაკლო სარჯო-ხარჯიდგან ოთხის დამფასებლის ჯამაგირი, ერთის ბუსჰალტერის თანაშემწის და ამ შემცირებით ბანკის წლიური სარჯი, რომელიც ოც-და-თორმეტი ათას მანეთს შეადგენდა, ჩამოიყვანეს ოც-და-რვა ათასამდის.

«შაბათს საღამოს სამოგადოებამ გაანაწილა მოგება ამ ნაირად: თვრამეტი ათასი მანეთი და ცოტა მეტი დანიშნა სასწავლო სკოლისა და პროგიმნაზიის კლასებისათვის, სამი ათასი მანეთი ამავე სკოლის უდარიბეს მოწაფეთათვის შესაწევნად; ათას ხუთასი მანეთი მისცა იმ სამოგადოებას, რომელიც ეხმარება ქუთაისის უცდა სასწავლებელთა უდარიბეს შვილებს, სამასი მანეთი საკაო გაიმნაზიის მოწაფეთა დამხმარე სამოგადოებას, სამასი მანეთი ამ გვარსავე სამოგადოებას სოხის სამასწავლებლო სემინარიაში და სამასი მანეთი ხონის საქალებო სკოლას; ათასი მანეთი ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელს სამოგადოებას: ათას-ორასი მანეთი უმაღლესს და უმთავრესად აგრონომიულს სასწავლებელში ოთხის სტიპენდიის დასანიშნავად; ათას-ორასი მანეთი ქუთაისის საქალებო გიმნაზიას და ათას-ხუთასი მანეთი იმ კაპიტალის შესავსებად, რომლის ნამთავნით უნდა დაინიშნოს მათის იმპერატორებიონის უმაღლესობის მიხეილ ნიკოლოზის ძისა და მისის მეუღლის სახელზედ ორი სტიპენდია, ერთი საკაო და მეორე საქალებო გიმნაზიაში. ხუთათასი მანეთი მიეცა იმ ათი-ათას მანეთს, რომელიც შარშან მაზრებში სასწავლებლის გასასხნელად გადაიდვა.

«ამას გარდა სამოგადოებამ, კირ. ლორიჭოფანიძისა და მიხეილ დარახველიძის წინადადებით, გარდასწყვიტა, რომ ზედამხედველმა კომიტეტმა ამ ფულის სიძვირისა და მამულების იაფობის დროს შეიძინოს ქუთაისში სასწავლო სკოლის და პროგიმნაზიის ასაშენებლად საკმაო მიწა და ამისთვის ისესხოს ფული იმ კაპიტალისაგან, რომელიც მაზრის სკოლებისათვის არის გადადებული, იმ პირობით, რომ ამ კაპიტალს სამოგადოება შეასვსებს გაისად წრეკანდლის შემოსავლისაგან.

«თანამდებობის პირთა არჩევაც ძალიან მშვიდობიანად გათავდა. ეს მოხდა კვირას, სულის-წმინდის მოფენის დღეს. დირექტორად აირჩიეს ისევ თავ. ნ. დ. ერისთავი და ზედამხედველის კომიტეტის წევრებად ორი ისევ ძველი წევრი, მ. გ. გეგიძე და იე. მესხი და ალ. ფიფანაშვილის მაგიერ არჩეულ იქმნა თ. ნ. ა. თავდგირიძე».

«რუსული კურიერი» გვაცნობებს, რომ მალე გაზეთს «Голосъ»-ს გამოსვლის ნება მიეცემაო.

ბუშინ ვაცნობეთ მკითხველს, რომ სამთო ინსტიტუტშიაც ქაქასიელი სტუდენტები-სტიპენდიატები უეგზამენებოდ მიიღებიანო. ეს ცნობა ცოტათი უნდა შევასწოროთ: ქაქასიის სტიპენდიატები მხოლოდ ერთს ეგზამენს დაიჭერენ, შესამოწმებელს და არა სხვა სტიპენდიებთან შესაცილებლად.

გაზეთს «ქაქაზს» გორიდამა სწერენ, რომ საკვირველი კონტრაქტით შეკრულა ინჟინერი ზეზემანი. ზეზემანს უნდა ერთ წელიწადში გაეკეთებინა რკინის ხიდი მტკვარზედ 66,000 მანეთად; თუ ვადაზედ ვერ მოესწრო არაფერი ჯარიმა არ გადახდებოდა, ფული კი 80% უნდა წინდაწინვე აელო ორ ვადად და მხოლოდ 20% ხიდის დასრულების შემდეგ. თუ ვადაზედ ვერ მოასწრო ხიდი, არაფერი ჯარიმა არ გადახდება და აი ორს ივნისს გათავდა ვადა და ჯერ ბოძებიც არ არის სრულიად ჩასმული და გორელები კი სულის სისწრაფით მოელიან ხიდის გაკეთებას.

მართლა რომ ჩვენს ქვეყანას კონტრაქტებიც საკვირველი სცოდნია!

«დროების» კორესპონდენცია.

ოზურგეთი, 27 მაისს. ეს ერთი სანაო ოზურგეთშიაც მოიყარა თავი ახალმა ამბებმა. დავიწუოთ თუნდ იქიდგან, რომ ჩვენმა პატარა ქალაქმა მოულოდნელის მოხდენილობით და ლაზათიანის შექცევით იდღესასწაულა სელმწიფე იმპერატორის დაგვირგვინების დღეები.

ესლა აქ ორი სიტყვა უნდა გსთქვათ აქაურს, ახლად გაკეთებულს ,,როტონდაზე''.—როგორც ოზურგეთის ბაღის გამგეს ეწოდებინა, ეს ბაღი ადრე ყოფილა ბაზრის ადგილი, ბაზრის ადგილად ვერ გამოდგა, ბაზარი სხვაგან გადაიტანეს და ეს ადგილი ბაღად გადაიქცა. ბაღის გამგეს ბევრი ეცადა, ბევრი იშრომა, ბევრი ფული დახარჯა, ბევრი ხე დარგო, ბევრი ბალახი დათესა, ბევრი ყვავილი დარგო, ბევრი ბილიკი გაავლო, ბევრი ბორდიური გაავლო, ბევრი ბაქანი გააკეთა, ბევრი ბოსელი გააკეთა, ბევრი ბაგა გააკეთა, ბევრი ბოძი დაამაგრა, ბევრი ბაწარი გაავლო, ბევრი ბალიში დაკიდა, ბევრი ბანკეტი გაიმართა, ბევრი ბოთლი დაიცალა, ბევრი ბოთლი დაიმტვრა, ბევრი ბოთლი დაიკარგა, ბევრი ბოთლი დაიმალა, ბევრი ბოთლი დაიმალა, ბევრი ბოთლი დაიმალ

ნასწლება (20 წლის წინად ამ იყო ჩინებული ბაღი დაუიწყარის კორონტოვის კუკაზიაში ოთხის დროს გაშენებული, რომლისაგანაც დღეს მხოლოდ რამდენიმე ხეები დარჩენილან), აგრეთვე როტონდის გაკეთება ეკუთვნის აქაურ მზრის მმართველის თანაშემწის ბ. იონოშას მეცადინეობას, და რასაკვირველია, ამ საქმისათვის მადლობის ღირსიც არის. მაგრამ როტონდის თაობაზე ჩვენ ერთი სიფუძლიანი შიში გვებადება და ღმერთმა ქნას, რომ ჩვენი ეშვი არ გამართლებულიყოს. გურიის სალხი არის მეტად ამოლი ხასიათისა და ყოველსავე ახალს, უცხოს ძლიერ მალე ითვისებს და ქწუობა. ეს ითქმის განსაკუთრებით გურულს მანდილოსნებზედ. ოზურგეთი ერთი ბეწო ქალაქია და ზედგე ირგვლივ სოფლები აკრავს. რაც ეს როტონდა გამართულა, მას აქეთ, ოკუელ ტკბილ დღეს სოფლელი ქალები გროვა-გროვად მოდიან ბაღში ,,ტანცობის'' სანურებლად ისეთის ბეჯითობით და სალისით, თითქოს დიდი რამ საბრძნის შეშენას მოელოდენ ამ ,,ტანცობის'' ტკბილსაგან. მე ასე მესმის, ამათი ქმრები უმჯობესებას აცხადებენ ტოლების ასეთ ბეჯითობაზედ და მართლაც სამწუხარო იქნება თუ ასე ტოტტოტობაში ოზურგეთის ახლო სოფლელი ქალები შეეჩვევენ ტუალ-უბრალო, უსარგებლო ღობიალსა და ოჯახზე გული აიგდეს. გშიშობთ, რომ როტონდამ სარგებლის ნაცვლად ვნება არ მოუტანოს ბერულ მანდილოსნებს..,

საზოგადოდ რომ ვსთქვათ ოზურგეთი ეს ერთი წელიწადია განსხლდა და გადასხლისდა: არც ჩვეულებრივი შარტიობა და ჭორი-ძებნიობა ისმის, ადარც ,,უფროსის'' დრიალი და უმცროსის კანკალი, არც ,,დანაესები'' და სახიცრები; ამოიკვეთა წინანდელი კატის-კვლა, ჭურდობა, ცრცვა-გლეჯა და საერთოდ შიში გურიში მცხოვრებლებისა-თითქო უკელაფერი ახლ კალაპოტში ჩადგაო. ეს სასიამოვნო ცვლილება გურიის მდგომარეობისა უნდა მიეწეროთ პირველად ბათომის ტუბერნატორის და მეორედ ოზურგეთის ახლის მაზრის მმართველის გაკელისას, რომელისაც ჯერ-ჯერობით ჩვენი მაზრა ძალიან მადლიერია. თუმცა მხოლოდ ერთი ორი თვეა რაც ბ. კირუბოვი გურიას მართავს, მაგრამ ჯერეთვე ამან ბევრის თანაგრძნობა დაიმსახურა და სალხს თავი შეაყვარა. აქ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ერთი მისი ღონიერი განკარგულება, რომელზედაც გურულები ძალიან მადლიერნი არიან.

წარსულს აპრილის თვეში გურულებს გამოუცხადეს უმაღლესი განკარგულება, რომლის ძალით ფულიო შეწევნა (дополнительное пособіе) ეძლევა იმ მიდიტიონერთა სახლობას, რომელიც მსახურებდენ წარსულის 1877—1878 წლების ომებში. შეშწევნა უნდა ითხოვონ ოკუელმა მიდიტიონერებმა არზით, რომელიც უნდა გაიგზავნოს საჭირო დოკუმენტებიოურთ ქუო. ტუბერნატორის სახელზე.—მოგესსენებათ წარსულს ომიანობაზე გურიაში ოთხი კაი დრუჟინა გამოიწყო თითო ათას-ათასი მეომრითა, რომელთაგან ბევრნი ომშიგე დაიხოცნენ და დანარჩენებმაც დიდი ტანჯვა-წვალება გამოიარეს ბრძოლის ველზე ოოფნის დროს. ამათი სხდომაც არა ნაკლებ გასაკვირში იმოოფებოდა: ოჯახის მარჩენალს მოცილებულებამ და დამარტოებულებამ, კინ იცის რამდენი გაჭირვება და შიში აიტანეს! ამაების გამოკითხვამ გურულებმა დიდის სიხარულით მიიღეს ზემოხსენებული უმაღლესი განკარგულება და შეუდგნენ საჭირო არზის დამწერის ძებნას. დაიდეს ფართოდ ხახა ოზურგეთის წვრილ-ფესა ჩინოვნიკებმა და შეუდგნენ მღერია წყალში თევზების ჭერას: უჩურჩულეს უმეცარ სალხს ყურში, არზას ჩვენისთანას კინდა დასწერს, ოდონდ რადგან ბევრი წერა უნდა, თქვენგან მიღებულ ფულის ნახევარი ან მესამედი მაინც ჩვენ უნდა შეგვეწიროთ დაწერაშიო და მართლაც ბევრ უცოდინარ კაცებს ჩამოართვეს პირობა ნახევრის და მესამედის ფულის მიცემისა. ამბობენ ერთმა ამ ჩინოვნიკთაგანმა იმდენი ენერგია და ხერხი გამოიჩინა ამ საქმეში, რომ თუ მარცხი არ მოსწეოდა და ფული არ წაეკრა, ხუთი ათას მანეთის პირობები ჭქონდა მოგროვილიო. მაგრამ ამასობაში ამ ამბავმა მიაღწია ბ-ნ კირუბოვის ყურამდე და იტიცხლეთ, რომ ამან ყველა მატუყარებს კუდი ამოაძუებია: დაბარა ყველა ეს დაგეშილი მებრები და ასეთი სიტხე მიაყენა, რომ ყველა შეკლი და ახალი ტოდეები ერთად აუდუღა: რას ჭქვიან ნახევარი და მესამედი! მუქთად, მუქთად უწერეთ ყველას ეს იხოვნები, თორემ მე კიცი და თქვენა. ასე თქვენ დამწყვარს მოესპო ყოველი საკეთე, როგორც ამათ ერთბაშად მოუსპო ბ. კირუბოვმა ყოველივე იმედი ომში მყოფი გურულების «მოწყალებით» კბილების გამოტენისა. იმ დღიდგე თურმე საშინელ ტკბილს და გეენას მისცეს სწყლებმა იმდენის სერსით და გაიძვერობით ჩამოართმეული პირობები! უცბად დაარიგა მზრის მმართველმა სოფლის კანცელარიებზე ფიცსული ცირკულარული მოწერილობა: მე შეიტყუკო, რომ ასე და ასე ხალხს ატუუებენო და არამც და არამც არავინ გაბედოს ამნაირი ბოროტებაო. კისაც სურს, შეუძლიან პირ-და-პირ მე მომმართოს და მუქთად დაკწერინებ ამ არზებსო და კიდეკიც ბევრის გლეხისაგან გავიგონეთ: «ნახალნიგთან» მიგვდით ამან დაკწერინა და გაგვიგზავნა ღუბერნატორთან თხოვნაო. თურმე ეს არზა ნახევარ ფურცელ ქალალდზე ეტევა. ამ ნაირად დარჩენ პირდაპირებულნი საბრალო ჩვენი ჩინოვნიკები ბ. «ნახალნიგის» წყალობით.

აქ უნებურად გვგონდება ზემოხსენებული საგნის მზგავსი სასაცილო ამბავი. წარსულ ზაფხულში ოზურგეთში ოოფნის დროს ერთმა გურულმა გლეხმა მიართვა სმეკალოვს კაი ჩაწიწინებული არსა. არ კიცი რა ზეგარდამო ჩაგონებით მოუვიდა თავში ეკითხა მთხოვნელისათვის, თუ ვინ დაუწერა იმას ეს არზა და ან რავდენი გამოართვა დაწერის ფასად; მაგრამ გლეხმა არც დაწერის კინაობა გაამხილა და არც ფასი. სმეკალოვმა უბრძანა, დაეტუსაღებინათ ეს გლეხი, მისთვის უკელაფერს მართალს არ ეტყოდა. როცა უნებური ტყვე დარწმუნდა, რომ დუბერნატორთან ხუმრობა არ გამოვაო, გატყდა ამა და ამ კაცმა დამიწერაო და დაწერაში ერთი თუმანი გამომართვაო. ფიცხლავ მოუვანა სმეკალოვმა ბედშავი ოხრაზე, და ბრუნებიან გლეხისათვის თუმნიანი, შრომის ფასად მისცა მხოლოდ ათი შაური და ფიცხლად აუკრძალა შემდეგში ამ რიგ ბოროტების ჩადენა.

ნიკოლოზ-პატიოსანი.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო, ნება მიბოძეთ მივაქციო თქვენი ყურადღება იმ საგანსა რომელსაც ჩვენთვის დიდი საზოგადობრივი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც შეეხება ჩვენის ხალხის ზნეობას და ჯიბეს, რომლითაც ხალხი მთლად გალოთებულია, საქმე-დღეში ანებებს ყველაფერს თავს, სცდება და უკანასკნელ გროშს იქა სტოვებს. მე მოგახსენებთ ჰიდაობაზედ. ჰიდაობის წინააღმდეგ მე ენას ვერ დავიძრავ, რადგანაც ის ბევრნაირად სასარგებლოა ხალხისათვის, მაგრამ ყველა პატიოსანი კაცის მოვალეობაა ხმა აღამაღლოს იმ გაქნილი პირების წინააღმდეგ, რომლითაც ეს ხალხური უმანკო დროს გატარება ხალხის გასაყვლეფ საგნად გახადეს. როდესაც ჰიდაობამ ისე მიიზიდა ხალხი, რომ თითქმის მთელი ქალაქი იქ ესწრობოდა და გაშლილ მინდორზედ ხალხის შემაგრება ყოველად შეუძლებელი შეიქმნა, მიშინ თ ქვენივე გაზეთის საკვირაო მეფელტონემ წინადადება მისცა ერთს სადმე ცარიელ ალაგზედ ფიცრული შემოეელოთ, ხალხიც მეტს სიამოვნებას ჰნახავს და ზოგიერთს ჩვენს საზოგადო საქმეებსაც შემწეობას მისცემსო. ამას ყური მოჰკრა ერთმა გაიძვერა სამჭრაქამ და მინამ ჩვენა ვფიქრობდით, იმან კიდეც აახუხულაება რალაც ფიცრული «იტალიის» ბაღჩის ბოლოში. ეს ფიცრული სულ სამთუმნადაც არ დაუჯდებოდა, მაგრამ ჰიდაობის წყალობით აქამდე სამას თუმნამდე ჯიბეში ჩაილაგა; ე. ი. რომ აწინდელ მასწავლებლებს გონებაშიაც არ მოუვათ მის განათება და გაგება. და აი სწორედ ამაში კი გახლავთ ის ქვა-კუთხე, საძირკველი, რომლის სწორე ჩადგმაზედ არის დამოკიდებული სიმაგრე და სიმტკიცე მომავალი შენობისა. სწორედ ამ ცოდნაზე უნდა იყოს დამყარებული ის, რის მეოხებითაც შესაძლებელი გახდება ცოტათი მაინც ეცვალოს პირი იმ სამწუხარო მდგომარეობას, რომელშიაც ჩავარდნილია აწინდელი მოსწავლე ახალ-გაზდობა,—და მართლაც სამწუხარო და საგლოვიაროა ეს მდგომარეობა. ურცხვი გარყვნილება, ოფენბახის გალმერთება, ამხანაგობის დაუზოგველობა—აი ის უმთავრესი და ხშირი მოვლენანი, რომელნიც ისე მალ-მალ ეჩხირებიან კაცს თვალებში.

უნდა ნახოთ ეს ახალ-გაზდობა სხვა-და-სხვა სალხინო ბაღებში, ყავახანებში, გაიგონოთ იმისი ბაასი, ორკილოიანი ლაპარაკი სხვა-და-სხვა ნაირ კოკეტკებთან, რომ მართლა დაფიქრდეთ იმის მომავალზე და უნდა დაესწროთ იმ წუთსაც, როცა იგივე ახალ-გაზდობა ამ გვარ ქეიფობის შემდეგ მიდის ექიმებთან და ურცხვად, ვით გარნიზონის სალდათნი, გადაუყჭავს თავის სამარცხვინო ავადმყოფობას, რომ სრულიად ზიზღი მოგვიდეთ იმის აწინდელ მიმართულებაზე. არავითარი ზნეობითი და საზოგადო ინტერესი არ ულეიძებს მას ლტოლვილებას,—მოსძებნონ სხვა გვარი ლხინი, უფრო სარგებლიანად გაატარონ დრო, შეიძინონ ცოდნა.

ეს უკანასკნელი ხო სრულიად კოჭლობს: მხოლოდ ის ისმის მეტადრე ეხლა, რომ ეს მოწაფე ჩაიჭრა ეგზამენებში, ეს დარჩა მეორე წელს ამავე კლასში, ამას კვლავ-კითხვა დაუნიშნეს და სხვ. დაართვას ნათქვამს მკითხველმა ფიზიკურადაც დაუძლურება და იმას ცხადად დაეხატება ის საზოგადო სურათი, რომელსაც წარმოადგენს აწინდელი მოწაფეთ უმრავლესობა. მე ვამბობ უმრავლესობა ამიტომ რომ ღვთის მადლით, არიან სხვა გვარი მოსწავლენიც, უფრო წმინდა და სპეტაკის ზნეობითის სურათით. რამ გადაარჩინა ეს უმციერესობა ზემო-ნათქვამ ფათერაკს—ამისი გამოკვლევა აქ უალაგო იქნება, მგონია რო სასწავლებელს ბევრი არაფერი მონაწილეობა აქვს.

ჩვენი საანაურო სკოლა ბევრად თუ ცოტად, აკმაყოფილებდა ამ უსაჭიროეს პედაგოგიურ მოთხოვნილებას; ყმაწვილისა და ზოგიერთ მასწავლებელთ შორის არ იყო დარღვეული ზნეობითი კავშირი; ის ჰხედავდა რო მოძღვარი და აღმზდელი გულგრილად არ ეკიდება იმას, რო თანაუგრძნობს ბავშვურს ნაღველს, სიხარულს. არ ვიცით, როგორი დარჩება ეს ურთიერთობა მომავალში, როცა ყმაწვილობა მოიზრდება, მაგრამ ჯერ-ჯერობით კი რიგიანი და მოსაწონია.

და რასაკვირველია, რო პედაგოგიური პერსონალის გამოცვლა შეუნიშნელად არ ჩაივლის სკოლის ცხოვრებაში. ჯერ ერთი რომ თვით ეს ფაქტიც ყმაწვილებს გულს გაუტეხს გამგე კომიტეტზე, რომელსაც მიაწერენ მასწავლებლების დათხოვნას, მეორე რო მოწაფეთ ხელ-მეორედ მოუნდებათ გაცნობა, შეჩვევა მომავალ ინსპექტორთან და მასწავლებლებთან, შეთვისება იმათი ხასიათისა. ბედი იქნება სკოლისა, თუ ეს მომავალნი მოძღვარნი კარგნი და პატიოსანნი გამოდგნენ, თუ არა და ვინ იცის რა უკუღმართად დაბრუნდება ეს საქმე.

(შემდეგი იქნება)

იმდენი, რამდენიც ელემატება მისგან იჯარით აღებულ ბაღჩის ფასს და მთლად მის რესტორანს. ეს ღობემძვრალა სულიერი იქამდენ უნამუსოა, რომ მაშინაც როდესაც ჰიდაობა საქველ-მოქმედო მიზნით იმართება, არამც თუ ამ შემოღობილ ალაგს მუქთად არ უთმობს, არამედ ისეთს უსინდისო ფასს იღებს, რომ ხან-დის-ხან მთელი შემოსავალი იმას უნდება, მაგ. ამ ბოლოს დროს ორჯერ გაიმართა ჰიდაობა, ერთხელ აიღო 200 მან., მეორედ—300 მ. და აჭიშის ფულიც კი თავის ჯიბიდამ მისცეს მოთავეთ. ნუ დაივიწყებთ რომ თეატრის ქირასაც კი არწრუნი მხოლოდ ხუთ თუმანს იღებს. საყურადღებო ეს არის, რომ პოლიცია, რომელიც მარტო წესიერების დასაცველად უნდა მოდიოდეს, სხვა ნაწილშიაც ერევა. ჩვენის ფიქრით, ეს პოლიციის მოვალეობა არ არის.

ერთს საგანს მინდა მივაქციო კიდევ თქვენი ყურადღება. იმე გახშირდა ამ ბოლოს დროს, ვითომ, საქველ-მოქმედო მიზნით კონცერტები, ჰიდაობა და სხ., რომ თავი მოგვაძულეს. ბილეთების მტარებელნი სახლებში გვიცვივიან, ქუჩაში გვაჩერებენ და უკანასკნელს ფულებს გვართმევენ. სასიამოვნო მოვლენაა, რომ ჩვენი საზოგადოება კეთილ საქმისთვის ფულს არ იშურებს, მაგრამ ამავე საზოგადოებას უფლება აქვს იცოდეს, რაზედ იხარჯება მისი ჯიბიდამ გასული ფული. მხოლოდ კ-ნა ნინა ბარათოვისამ და კ-ნა მაიკო მელიქოვისამ გვაჩვენეს ამისი მაგალითი და დაწვრილებითი ანგარიში დაბეჭდეს. ძარგი იქნებოდა, რომ კ-ნა ბაბალე ბარათოვისამაც მაგალითი აიღოს მათგან და შეგვატყობინოს ხოლმე რას და ვის ჰხმარდება ჩვენი ფულები, თორემ ბოროტი ენა ბევრს რასმე იტყვის!

დასასრულ, ვისურვებთ, რომ ჩვენმა თავადებმა, რომელთაც მოჰიდავენი საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდან მოჰყავთ, ჰიდაობს ისევ ძველი, მამა-პაპური ხასიათი მისცენ, ე. ი. ჰიდაობა იმართებოდეს გაშლილ მინდორზედ და იქვე მოგროვილი ფული გამლახველს ეძლეოდეს და არ ამდიდრებდეს ერთს ვიღაც გაქნილ მედუქნეს, რომელმაც არ ვიცით რა საფუძვლით ყველის ხარჯი დასდო ჰიდაობის მაყურებელთ.

ერთი ჰიდაობის მოყვარეთაგანი.

გამოცემა.

მოვაკარმართებელის თანამდებობის აღმასრულებელი სამოქალაქო ნაწილისა გავკასიაში, გენერალ-ლეიტენანტი სტაროსელსკი.

19 მარტს 1883 წელსა.

ქ. თბილისი.

წესდება

სასოფლო-მეურნეობის სკოლისა, პირველ-დასაწყისი მოსამზადებელი კურსით, სოფელს წინამძღვრიანთ-კარში.

§ 1.

სოფელს წინამძღვრიანთ-კარში, დუშეთის მაზრაში, ტფილისის გუბერნიაში (საგურამოს კალში) არსდება სასოფლო მეურნეობის სკოლა, პირველ-დასაწყისი მოსამზადებელი კურსით და ფერმით. მიზანი ამ სკოლისა ის არის, რომ უმაწვილებმა შეისწავლონ წერა-კითხვა და შეითვისონ პრაქტიკულად ადგილ-მამულის რიგიანი შემუშავება, სესილისა და ვენახის მოვლა, ღვინის დაყენება და შენახვა, ბოსტნეულობის მოყვანა, საქონლისა და ფრთოვანის მოშენება, ფუტკრის ყოლა, ტყის გაჩენა და მოვლა.

§ 2.

სკოლა დაარსდება ადგილობრივის მამულის მეპატრონის ილია ივანეს-ძის წინამძღვრიშვილის ღონის-ძიებით. დამფუძნებელი ამ სკოლისა კალდებულია სკოლასა და სკოლის მასწავლებლებს უშენოს გიგიენის შესაფერი სადგომი სახლი, გააწყოს სკოლა ავეჯულობითა და მისცეს სასელმძღვანელო წიგნები და გარდა ამისა მოსწავლეთა პრაქტიკულ გარჯისობისათვის ფერმის გასაშენებლად საკუთარის მამულიდამ მისცეს ორმოცდა-ათი-დესეტინა საკუთარო და სკოლისთვის სასარგებლო მიწა, მუხისა და სხვა გვარის ტყეთა და რიგზე სარწყავის წყლითა.

§ 3.

როგორც მიწა, აგრეთვე ოკეანეც ავეჯულობა, რომელიც სკოლის დამფუძნებელს მისთვის შეუწირავს, დაუმტკიცდება სკოლას, მის გახსნის დროსვე, სრულ საკუთრებად.

§ 4.

თუ კინიცობაა სკოლა სრულებით დაისურა, მაშინ ოკეანეც იმისი უძრავ-მოძრავი კუთვნილობა გახდება საკუთრებად კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, რომელიც კალდებულია მოიხმაროს იგი განსაკრძალებულად პრაქტიკულის სამეურნო სწავლის იმ მაზრის მცხოვრებთა შორის, სადაც არსდება ეს სკოლა. და თუ სკოლაზედ ადრე საზოგადოება გაუქმდა, მაშინ როგორ უნდა იქმნას მოხმარებული, სკოლის გაუქმების გამო, იმისი საკუთრება, ამას განსაწყვეტს სკოლის მფარველი და შემწე საზოგადოება, რომელიც დაფუძნდება ცალკე წეს-დებით.

§ 5.

სკოლის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებენ: იმის დამაარსებლის ი. ი. წინამძღვრიშვილის ნაკითიერი შემწეობა, მოსწავლეთა ნამუშავრის გაყიდვით ის შემოსავალი მოგება ფერმის ნაწარმოებისა და ის ღონის-ძიება, რომელსაც სკოლას მისცემს იმისი მფარველი და შემწე საზოგადოება. (34).

(შემდეგი იქნება).

განცხადებანი

იაფად ისყიდება:

საზაფხულო წამოსასხამები 4 მ. 5000 ბროლის სტაქნები 25 კ. თითო. 600 დანა-ჩანგლის დასადები 10 კ., 3000 ოზმა ფოსტის ქაღალდი 1 მ. 20 კ. დიდ ძალი ჩაი 1 მოკრეფისა 1 მ. ნამდვილი ფუ-ჩე-ფუ 2 მ. გარე. და ბროლის გრაფინკები ინგლისის მაღაზიაში. (10—5)

უმაღლეს კურსებზედ.

მოსწავლე ქალი ეძებს ზაფხულის განმომაელობაში გაკვეთილებს თბილისში.

ელიზავეტინსკის ქუჩა სახლი № 78. (8—4)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაის
1 მ. 10 კ.	1 მ. 40 კ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2— ,,
— — 1—80	— — 2—50
საუკეთესო 2— ,,	— — 3— ,,

იქვე ისყიდება სხვა საჭონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაპტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კონფეტები, შუბები, მაგნეზია, ფანგრები, ლამპები, წინდები—კაცის და ქალის, სელ-სახლები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ უველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—89)

ინგლისური რკინის კრავატები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფანდრასები, კლიტეები, სათვანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რეზოლვერები, თოფები, კატისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—74)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—87)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკეპნის მოსასპობლად, ტუალეტის სპონი, დუსები და სხვ.

ვერცხლის მედალი.

შპალერები

აუარებელი და ისყიდება ქარხნის ფასებით

ძმათა ტარნოპოლებისს

ქარხნის ადგილის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.

ნარდათ მუდგულთ დაუთმობათ. (40—19)

საგლობუსო კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი საადგილო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარისა კალმები, უოველის ,,სულისათვის''—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანცერტები, რეზოლები, ლაქი, კარანდაში, ბენალი, კალმები, ბუმაჟნიკები. პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშუები ჭურჭლების საწმედად (პორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა სალები აიტაკისათვის კალიონკები. ტახტები, სავარძლები, სარეცები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატრპასები, მზის-სათები, კომპასები, ტერმომეტრები, ძეწკები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტულები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შხოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

ჰატაშკი—20 კ. (100—25)

Дозв. цензурою Тифлисъ, 10 Іюня 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ს. მელიქ-ძეილი. რედაქტორი ს. მესხი.